

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 15.11.19 წლის №045/19¹ გადაწყვეტილების
მოკლე მიმოხილვა

ლალი ჟორჟოლიანი (სტუდენტი)

ფაქტები

საჩივრის ავტორის (შემდეგში ასევე, „კლიენტის“) საკუთრებაში არსებული საცხოვრებელი სახლი დაექვემდებარა ექსპროპრიაციას, რის გამოც მას დასჭირდა იურიდიული მომსახურება. საჩივრის ავტორმა გააუქმა მისი შვილის სახელზე გაცემული მინდობილობა და ახალი მინდობილობა გააფორმა მისი ოჯახის წევრის (შვილიშვილის მეუღლის) სახელზე, რომელიც ამავდროულად არის ადვოკატი. კლიენტის განცხადებით, ადვოკატმა იუსტიციის სახლში მოტყუებით მოაწერინა ხელი თავისი სახლის ნასყიდობის ხელშეკრულებაზე, მაშინ როდესაც ფიქრობდა, რომ ხელს აწერდა „დაკარგული ქონების მის სახელზე დაბრუნებას“. უსინათლობის გამო, ხელშეკრულებას ხელი მოაწერა მისმა შვილმა. საცხოვრებელი სახლი თანასაკუთრებით გადაეცა ადვოკატს, შვილსა და რძალს. მოგვიანებით მომჩივანმა მიმართა საჯარო რეესტრს ნასყიდობის ხელშეკრულების გაუქმების მოთხოვნით, რაც დასტურდება განცხადებითა და ვიდეოჩანაწერით. ადვოკატი აღნიშნულს არ ეთანხმება და განმარტავს, რომ სახლის გადაფორმება წარმოადგენდა კლიენტის სურვილს, ის გაეცნო ხელშეკრულების შინაარსს და იცოდა რასაც აწერდა ხელს. კლიენტმა ადვოკატს შეუწყვიტა მინდობილობა, რაც მისთვის ცნობილი გახდა 2019 წლის 25 მარტს. 2019 წლის 26 მარტს, ადვოკატმა სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს კლიენტის წინააღმდეგ და მოითხოვა იურიდიული მომსახურების თაობაზე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულება - თანხის დაკისრება. ამავე დროს, ადვოკატმა იშუამდგომლა კლიენტის უძრავი ქონების დაყადაღებაზე, რაც დაკმაყოფილდა. ადვოკატის თქმით, კლიენტის ნების გარეშე მის საკუთრებაში არსებულ საკუთრებაზე ფიქტიური ნასყიდობის ხელშეკრულება გააფორმა მისმა შვილმა, რაზეც სარეგისტრაციო წარმოება შეწყდა ადვოკატის მოთხოვნით. კლიენტის მხრიდან რწმუნებულების გაუქმებიდან მესამე დღეს, ადვოკატმა, როგორც კლიენტის წარმომადგენელმა მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს სსიპ მუნიციპალური განვითარების ფონდის წინააღმდეგ. კლიენტის განცხადებით ადვოკატი ასევე ფლობს მისი საქმის მასალებს და არ აბრუნებს, აღნიშნულთან დაკავშირებით მან მიმართა პროკურატურას და ადვოკატის წინააღმდეგ დაწყებულია გამოძიება თაღლითობის ფაქტზე. აღნიშნულს ადვოკატი არ ეთანხმება და მისი თქმით მისთვის არანაირი დოკუმენტი არ გადაუცია კლიენტს, შესაბამისად ვერაფერს ვერ დააბრუნებს. ეთიკის კომისიაში, დისციპლინური საქმის წარმოების პროცესში საჩივრის ავტორი გარდაიცვალა.

პროცესუალური ისტორია

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიას საჩივრით მიმართა კლიენტმა ადვოკატის წინააღმდეგ და მოითხოვა მისთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება. საპროცესო კოლეგიამ მიიღო გადაწყვეტილება ადვოკატის მიმართ დისციპლინური დევნის აღძვრის თაობაზე ინფორმირების ვალდებულების, კლიენტის ინტერესების პრიორიტეტულობისა და კეთილსინდისიერად წარმომადგენლობის დარღვევის საფუძველით (ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის მუხლი 6.2, ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მუხლები: 5; 8.5; 8.6). მოგვიანებით განხილვის ეტაპზე საპროცესო კოლეგიამ გადაწყვეტილება მიიღო ადვოკატის მიმართ დისციპლინური წარმოების შეწყვეტის შესახებ.

¹ <https://gba.ge/pdf/620e4a77e43a6.pdf/045.19,%20shewyveta,%2015.11.19.pdf>

სამართლებრივი შეფასება

საქმის განხილვის ეტაპზე კოლეგიას საჩივრის ავტორთა წარმომადგენელთა და ადვოკატის მიერ ეცნობა საჩივრის ავტორის გარდაცვალების ფაქტის შესახებ. ასევე 2020 წლის 01 ოქტომბერს სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მიერ მიმართული წერილით დასტურდება, რომ საჩივრის ავტორი გარდაიცვალა 2020 წლის 15 აპრილს. ამ ფაქტმა გამოიწვია მომჩივანის მიერ წარმომადგენელთა სახელზე რწმუნებულობათა გაუქმება, რისი ერთ-ერთი საფუძველიცაა უფლებამოსილების გამცემი პირის გარდაცვალება (სსკ-ის მუხლი 109(დ). შესაბამისად ვერ მოხდება გარდაცვალების შემდგომ წარდგენილი დამატებითი მასალების შეფასება. დისციპლინური დავა აღძურული იყო საჩივრის ავტორის მიერ ადვოკატთან მიმართებით, რადგან შესაძლოა მან არ უზრუნველყო კლიენტის ინფორმირება, დაარღვია კლიენტის ინტერესების პრიორიტეტულობისა და კეთილსინდისიერი წარმომადგენლობის პრინციპი. სადავო გარემოებები უკავშირდებოდა კონკრეტულად მომჩივანის მიმართ ადვოკატის მიერ განხორციელებულ ქმედებებს. შესაბამისად საქმის განილვისათვის აუცილებელია კლიენტის პოზიციის ცოდნა, რაც მისი გარდაცვალების გამო შეუძლებელია და ვერ მოხდება საქმის შეჯიბრობითობის საფუძველზე განხილვა. კოლეგიას ასევე შეუძლებლად მიაჩნია იმსჯელოს უფლებამონაცვლეობაზე, რადგან დებულებით არ არის დარეგულირებული საჩივრის ავტორის გარდაცვალების შემთხვევა და 9.1.ბ მუხლი ითვალისწინებს საქმის წარმოების შეწყვეტას, როდესაც განმცხადებელი ქმედუწარმოა, სამოქალაქო კოდექსის 11-ე და 12.1 მუხლებიდან გამომდინარე კი ქმედუწარმიანობა, ისევე როგორც უფლებაუწარმიანობა წყდება ფიზიკური პირის გარდაცვალებით. შესაბამისად, რადგან განმცხადებელი გარდაიცვალა, ის ვერ იქნება უფლებაუწარმიანი და ქმედუწარმიანი, ეს კი საქმის შეწყვეტის საფუძველია.

დასკვნა

ეთიკის კომისიის განხილვის დისციპლინურმა კოლეგიამ განხილვის პროცესში გადაწყვეტილება მიიღო საქმის შეწვეტის თაობაზე, რადგან განმცხადებელი გარდაიცვალა, რაც დებულების 9.1(ბ)მუხლით ეს გარემოება საქმის შეწყვეტის საფუძველია.